



## ნატა ღიბრაძე

ქაუნსელი / მრჩეველი (Counsel)

დაბადების თარიღი: 24 აგვისტო 1989 წ.

მისამართი: Karl-Scharnagl-Ring 5, მიუნხენი 80539, გერმანია

მოქალაქეობა: საქართველო

ამჟამინდელი თანამდებობა: ქაუნსელი (Counsel), Hogan Lovells International LLP

ელ. ფოსტა: nata.ghibradze@hoganlovells.com

ტელეფონი: +49 151 6562 9031

---

## პროფესიული გამოცდილება

ნატა ღიბრაძე სპეციალიზებულია საერთაშორისო არბიტრაჟში. მის პრაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კავკასიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დაკავშირებული საერთაშორისო დავებს.

ნატა არის ადვოკატი საარბიტრაჟო საქმეებში ენერჯეტიკის (ნავთობი, გაზი, განახლებადი რესურსები), სამშენებლო, ინფრასტრუქტურის და საინჟინრო ინდუსტრიებში. მას აქვს ასევე გამოცდილება სხვა ინდუსტრიებთან დაკავშირებულ დავებში, როგორცაა ფამაცევტული და საზღვაო ინდუსტრიები. ნატას აქვს წამყვანი საარბიტრაჟო წესების (ICC, UNCITRAL, SIAC, DIS, Swiss Rules, DIS და DIA წესები და სხვა) შესაბამისად საქმეების წარმართვის გამოცდილება სხვადასხვა იურისდიქციებში.

ჰოგან ლოველსში გადასვლამდე, ნატა მუშაობდა საერთაშორისო იურიდიულ ფირმა ლინკლეიტერს-ში საერთაშორისო არბიტრაჟის განხრით (ფრანკფურტი, გერმანია).

გერმანიაში გადასვლამდე, ნატა მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, საერთაშორისო სასამართლოებში წარმომადგენლობის დეპარტამენტში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში იურიდიულ საქმეთა დეპარტამენტში და ერთ-ერთ წამყვან იურიდიულ ფირმაში.

ნატამ განათლება მიიღო საქართველოსა და გერმანიაში. იგი რეგულარულად ატარებს გამოსვლებს კონფერენციებზე და აქვეყნებს ნაშრომებს საერთაშორისო არბიტრაჟის მიმართულებით.

---

## გამოცდილება არბიტრაჟში

- აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში გზის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილ რამდენიმე საარბიტრაჟო და დავების მომგვარებელ საბჭოში არსებულ დავაში სახელმწიფო სუბიექტის წარმომადგენლობა.
- მრავალ მილიარდიანი აშშ დოლარის საარბიტრაჟო საქმეში (ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის წარმომადგენლობა.
- აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების, უწყებებისა და სამინისტროების წარმომადგენლობა სამშენებლო დავებში (მოლაპარაკებები, დავების საბჭო, არბიტრაჟი) სხვადასხვა სახის პროექტებზე (გზები, ენერგეტიკა, წყლისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა).
- წამყვანი თავდაცვის კომპანიის წარმომადგენლობა სადაზვერვო ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებასთან დაკავშირებულ საარბიტრაჟო დავაში.
- წამყვანი გვირაბის ტექნოლოგიური კომპანიის წარმომადგენლობა თურქეთის ერთობლივი საწარმოს წინააღმდეგ თურქეთში ჩქაროსნული რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებულ საარბიტრაჟო დავაში.
- წარმყვანი საავიაციო კომპანიის წარმომადგენლობა ამერიკელი მიმწოდებლის წინააღმდეგ პროდუქტის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმართულ საარბიტრაჟო დავაში.
- წამყვანი ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლობა შერწყმისა და შექმნის (M&A) შემდგომ წარმოშობილ საარბიტრაჟო დავაზე.
- ოფშორული ქარის ელექტროსადგურის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის მოთხოვნებთან დაკავშირებულ სამშენებლო საარბიტრაჟო დავაში მოპასუხე მხარის წარმომადგენლობა.
- მრავალეროვნული კორპორაციის წარმომადგენლობა რამდენიმე საარბიტრაჟო დავაში საზღვაო სექტორში მიწოდების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.
- რამდენიმე ამერიკული საავტომობილო მიმწოდებლის წარმომადგენლობა შერწყმისა და შექმნის (M&A) შემდგომ წარმოშობილ საარბიტრაჟო დავებზე.
- მულტინაციონალური კომპანიის წარმომადგენლობა კონკურენციის სამართლის საკითხებზე ქართულ სასამართლოებში (სააპელაციო და საკასაციო ინსტანციები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო).
- პროდუქტის (მათ შორის ნავთობისა და გაზის) მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებში არბიტრობა.

---

## განათლება

- სამართლისა და ბიზნესის მასტერი, ბუცერიუსის სამართლის სკოლა და WHU – ოტო ბეისჰაიმის მენეჯმენტის სკოლა, 2014
- ბაკალავრიატი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011

## **ზოგადი გამოცდილება**

---

საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი - ენერგეტიკის (ნავთობი, გაზი, განახლებადი რესურსები), სამშენებლო, ინფრასტრუქტურის და საინჟინრო ინდუსტრიებში.

---

## **პრაქტიკის ადგილი/იურისდიქცია**

მიუნხენი, გერმანია

---

## **სამუშაო ენები**

ქართული, ინგლისური, რუსული, გერმანული

---

## **სხვა შესაბამისი გამოცდილება**

ნატა ხშირად წარმოადგენს კლიენტების ინტერესებს დავების გადაწყვეტის საბჭოებში (სამშენებლო დავების მიმართულებით).

გარდა საერთაშორისო არბიტრაჟისა, ნატამ ასევე წარმოადგინა კლიენტების ინტერესები ქართულ სასამართლოებში, მათ შორის წარმოადგინა მულტინაციონალური კორპორაცია კონკურენციის სამართლის საკითხებში სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში და ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

\* \* \* \* \*